საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №99/17

-- -- და -- -- 2017 წლის 14 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №99/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მათ სარჩელი -- რაიონულ სასამართლოში წარადგინეს 2016 წლის 25 აპრილს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე 2016 წლის 15 აგვისტოს და 2017 წლის 31 იანვრის მოტივირებული საჩივრის შემდეგ, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --, რომელმაც 2017 წლის 24 მაისის საოქმო განჩინებით, უარი უთხრა მოსარჩელეებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე და საქმე გადადო, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების მიზნით, ასევე აღიარებით სარჩელთან ერთად მიკუთვნებითი სარჩელის წარდგენის დავალებით. საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ მოსამართლე გავიდა სათათბიროდ, მაშინ როდესაც უნდა მიეღო გადაწყვეტილება, დაბრუნდა სხდომის დარბაზში და უარი განუცხადა მხარეებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. საჩივრის ავტორთა

აზრით, მოსამართლის, სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ, საქმის განხილვის გაგრძელება, კანონის აშკარა უპატივცემულობაა, დაცინვა და აბუჩად აგდებაა, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1]-ე მუხლით განსაზღვრული უფლებიდან გამომდინარე, სარჩელს იხმობენ, ისე რომ უარს არ ამბობენ მოთხოვნაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 26 აპრილს, -- -- და -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, მემკვიდრის უფლებამონაცვლედ და ტრანსმისიით მემკვიდრეობის უფლების აღიარების მოთხოვნით.

2016 წლის 15 აგვისტოს მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სამოქალაქო საქმე -- განტვირთვის მიზნით, განსახილველად გადაეწერა მოსამართლე -- --.

2016 წლის 22 სექტემბერს, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა, მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარების დამადასტურებელი გზავნილები.

2017 წლის 13 მარტის განჩინებით, მოსამართლე -- --, 28.04.2017 წელს დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, რომელიც მოსამართლის ავადმყოფობის გამო გადაიდო 2017 წლის 24 მაისს.

2017 წლის 24 მაისის სხდომაზე, მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 2017 წლის 14 ივნისს.

2017 წლის 24 მაისის სხდომაზე მოსამართლე -- --, 12:12 სთ-ზე გავიდა სხდომის დარბაზიდან გადაწყვეტილების მისაღებად, 12:43 სთ-ზე დაბრუნდა და გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. (არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე)

2017 წლის 30 მაისს -- -- სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი, რომელიც მოსამართლემ დატოვა განუხილველი, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის გამო.

2017 წლის 6 ივნისის განცხადებით, -- -- და -- --, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1]-ე მუხლის საფუძველზე გაიხმეს სარჩელი, 07.06.2017 წლის განჩინებით, მათი სარჩელი დარჩა განუხილველი.

განუხილველად დატოვების შესახებ 2017 წლის 7 ივნისის განჩინება გაეგზავნათ მხარეებს, განჩინება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- და -- -- 2017 წლის 14 ივნისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232^1-ე მუხლის თანახმად, „მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით.“

მოსამართლე -- --, 2017 წლის 24 მაისის საოქმო განჩინების მიღებისას (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის თაობაზე) მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება/არ მიღების საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, ვინაიდან თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, იგი არ მიიღებს ამ საქმეზე დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ასევე, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2017 წლის 24 მაისის სხდომაზე -- --, 12:12 სთ-ზე გავიდა სხდომის დარბაზიდან გადაწყვეტილების მისაღებად, 12:43 სთ-ზე დაბრუნდა და გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი (შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის თანახმად მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რაც თავისთავში გულისხმობს, რომ მოსამართლე გადაწყვეტილების მისაღებად გადის სათათბირო ოთახში. ამდენად მოსამართლე -- -- ქმედება ვერ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად და შესაბამისად იგი არ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული გადაცდომის ნიშნებს,

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14

მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №99/17 მოსამართლე -- -- მიმართ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნაწილში შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი